



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო**  
**უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law  
**SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY**

**წარმომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL**

ოქმი № 6

„17” 10

2022 წ


**დადგენილება № 29**

„სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის სოციალური დაზღვევის შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 05 ოქტომბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის სოციალური დაზღვევის შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 05 ოქტომბრის N18 დადგენილებაში და აღნიშნული დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტის სახელფასო ფონდიდან ყოველთვიურად გასაცემი ტრანსფერი სოციალური დაზღვევისათვის განისაზღვროს თითოეულ დაზღვეულზე 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით (საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით).
2. დადგენილება ძალაში შევიდეს 2022 წლის 30 ოქტომბრიდან.
3. დადგენილება ჩაბარდეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, ფინანსური დაგეგმარების და შესყიდვების სამსახურს და განთავსდეს ვებ-გვერდზე.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მეზღვილის ქ. N62.

წარმომადგენლობითი საბჭოს  
 სპიკერი, პროფესორი

 ლავრენტი ჩიბურდანიძე